აჭარის მუზეუმი
MUSEUM OF AJARA

მუზეუმი

ონლაინ ჟურნალი



№ 1. ბათუმი. 2020

რედაქტორი - გურამ ჩხატარაშვილი

სარედაქციო კოლეგია - თამილა ლომთათიძე, სოფო კომახიძე, რუსუდან კობრავა, თინათინ ფუტკარაძე, მაია გათენაძე, მარიამ ცინცაძე, შორენა დევაძე, რატი ჩიბურდანიძე.

კომპიუტერული უზრუნველყოფა - მერაბ უზუნაძე

დიზაინერი - ლუკა ბესელია

ს ა რ ჩ ე ვ ი

ინტერვიუ აჭარის მუზეუმების გაერთიანების დირექტორთან ---------- 3

ცარიელი მუზეუმი და პანდემია ---------- 6

სახლი, როგორც ახალი ექსპოზიციის ინსპირაციის წყარო (ინტერვიუ ძველი საბრძოლო იარაღების კოლექციონერთან) ---------- 8

გაფართოებული სახელოვნებო სივრცე: პოპ-არტი ---------- 10

თვითიზოლაცია და მხატვრობა (ინტერვიუ მხატვარ ჯემალ გორგილაძესთან) ---------- 12

უძველესი ქართული სასმისი - კულა (ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ერთი ექსპონატის შესახებ) ---------- 14

ჩვენი დროის ჟამთააღმწერელი (ინტერვიუ საშა ლეკვეიშვილთან) ---------- 16

მუზეუმზე მზრუნველი ,,უჩინარი ხალხი'' ---------- 20

მუზეუმის ექსპონატი ---------- 22

მეცნიერი პანდემიის პირობებში (ინტერვიუ ამირან კახიძესთან) ---------- 23

ძველი ბათუმის ფოტოები მუზეუმის არქივიდან ---------- 28

სოფო კომახიძე

ინტერვიუ მუზეუმის გაერთიანების დირექტორთან

ინტერვიუ აჭარის მუზეუმის დირექტორთან ბატონ სულხან ოქროპირიძესთან, რომელიც, ამავდროულად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების დოქტორანტია.

- ბატონო სულხან, სად მიიღეთ საშუალო განათლება და როგორ გახსენდებათ ბავშვობის წლები?

- წარმატებით დავამთავრე ქობულეთის №5 საშუალო სკოლა. მძიმე ოთხმოცდაათიანების მიუხედავად, ბავშვობა ძალიან ტკბილად მახსენდება. შვილებს, ძილის წინ, ზღაპრებად ვუყვები ბავშვობის თავგადასავლებს, რადგან მინდა მეტი იცოდნენ იმ ნამდვილი, თბილი და ადამიანური ურთიერთობების შესახებ, რაც დღევანდელობას ციფრულმა სამყარომ წაართვა.

- ხართ დოქტორანტი არქეოლიგიის მიმართულებით. რატომ არქეოლოგია? არის თუ არა ეს ის, რაც ნამდვილად გიყვართ და როგორ აღმოაჩინეთ, რომ ნამდვილად თქვენია?

- პირველ კურსსზე გვქონდა საველე არქეოლოგიური პრაქტიკა ფიჭვნარში, სადაც ჩემთვის დაუვიწყარი და საოცარი შთაბეჭდილებებით დატვირთული ზაფხული შედგა. წარმოიდგინეთ, რა განცდაა, როდესაც 2500 წლის წინანდელ ისტორიას ცოცხლად ხედავ და ხელით ეხები, ფურცლებზე დაწერილი ამბები ნამდვილი და სარწმუნო ხდება. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ არქეოლოგია ყველაზე საინტერესო პროფესიაა. ბატონი ამირან კახიძის ხელმძღვანელობით ავირჩიე ეს მიმართულება და დღემდე მიზიდავს.

- როგორ გგონიათ, ჭირდება თუ არა ყველა საქმეს პროფესიონალიზმი?

- ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობა, წარმატებული რომ იყოს, ქვაკუთხედი, სწორედ მასში დასაქმებულ ადამიანთა პროფესიონალიზმია.

- ვფიქრობთ, რომ თქვენი პროფესიიდან გამომდინარე შეგარჩიეს აჭარის მუზეუმის ხელმძღვანელად. გაგიჭირდათ თუ არა ამ შემოთავაზებაზე დათანხმება?

- არქეოლოგიურ მუზეუმში მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილების წყალობით, სამუზეუმო საქმე ჩემთვის უცხო არ გახლდათ. ამის გამო ეს შემოთავაზება საინტერესო აღმოჩნდა და სიხარულით დავთანხმდი. ვფიქრობ, აჭარის მუზეუმის მრავალრიცხოვან და საუკეთესო გუნდთან ერთად ბევრ სიახლეს შევთავაზებთ საზოგადოებას.

- დამოკიდებულება და მოთხოვნა XXI საუკუნის მუზეუმის მიმართ, აშკარად შეცვლილია. დიდი ხანია მუზეუმი აღარ არის მხოლოდ არტეფაქტებისა და ექსპონატების შენახვა-დათვალიერების ადგილი. ის არის კულტურული ჰაბი, სადაც აქტიურად მიმდინარეობს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. შარშანდელი სამუზეუმო კვირეულის თემაც სწორედ ეს გახლდათ. როგორ გგონიათ, პასუხობს თუ არა აჭარის მუზეუმი ამ გამოწვევას და მოთხოვნას?

- XXI საუკუნემ სამუზეუმო საქმიანობა ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. საუკუნეების წინ მომხდარი ამბები ისე უნდა შეფუთო, რომ ვიზიტორები მიიზიდო და ნასიამოვნები გაუშვა. ამას ევროპის წამყვანი მუზეუმები წარმატებით ახორციელებენ. აჭარის მუზეუმი, ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით, აუცილებლად შეძლებს დაამკვიდროს თანამედროვე საერთაშორისო მუზეუმებში არსებული სტანდარტი. ჩვენ ეტაპობრივად ვცდილობთ გადავჭრათ ინფრასტრუქტურული პრობლემები. ყველაფერი ეს, ერთად, გახდება ჩვენი არაჩვეულებრივი კოლექციების ცნობადობის ამაღლების გარანტი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე, ქვეყნის გარეთ. მუზეუმი აუცილებლად იქცევა ქვეყნის ტურიზმის მნიშვნელოვან, გამწევ ძალად. რაც შეეხება კულტურულ ჰაბად ქცევას, ეს მიმართულებაც ძალიან აქტიურად ვითარდება ყველა ჩვენ მუზეუმში. ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობთ და ვვითარდებით.

- კორონა ვირუსის პანდემიის გამო, მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ მუზეუმებს, ისევე როგორც სხვა ყველაფერს, შეუქმნა დისკომფორტი, მოგვიწია საქმიანობის მთლიანად დისტანციურ რეჟიმში წარმართვა, როგორ შეძლო ეს აჭარის მუზეუმმა?

- სახლში დარჩენა და იზოლაცია, კორონა ვირუსის გავრცელების შესამცირებლად უმთავრესი პრევენცია იყო, ამიტომ ეს ახალი რეალობაც მოვირგეთ და, ჩემი აზრით, ამ რეალობაშიც საკმაოდ გამართულად დავიმკვიდრეთ თავი .

- როგორია თქვენი მოლოდინები მუზეუმის კვირეულთან დაკავშირებით?

როგორც იცით, მიმდინარე წელს ICOM-ის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) გადაწყვეტილებით, მუზეუმის საერთაშორისო დღეც ონლაინ სივრცეში გაიმართება და წლევანდელი თემა იქნება „მუზეუმები თანასწორობისთვის: მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა". ამ კუთხითაც საკმაოდ ვიმუშავეთ და ბევრი საინტერესო პროდუქტი შევქმენით, რომელსაც კვირეულის ფარგლებში წარმოვადგენთ.

- ვინ არის თქვენთვის მისაბაძი ადამიანი თქვენს პროფესიაში?

- ჩემს პროფესიაში ჩემთვის მისაბაძი ბატონი ამირან კახიძე გახლავთ, თავისი დიდი პროფესიონალიზმით, თავდადებით, საქმის სიყვარულით და ერთგულებით. უკვე გითხარით, რომ ბატონმა ამირანმა განსაზღვრა ჩემი პროფესიის არჩევა. მე მისგან ძალიან

ბევრი რამე ვისწავლე და დღემდე ვსწავლობ, რისთვისაც მადლობას ვუხდი. ჰაინრიხ შლიმანი კი ჩეთვის უდიდესი არქეოლოგია, რომელმაც 7 წლის ასაკში წაიკითხა ჰომეროსის ,,ილიადა," დაიჯერა, რომ აღმოაჩენდა ტროას და აღმოაჩინა კიდეც.

- რას განიცდის არქეოლოგი, როდესაც გათხრებისას პოულობს არტეფაქტს?

- ეს არის საოცარი განცდა. მოწმე ხდები საუკუნეების უკან მომხდარი ამბის ნამდვილობის...

- თქვენთან რამდენიმე თვიანმა თანამშრომლობამ ცხადყო, რომ გაქვთ საოცარი იუმორის შეგრძნება. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია და ხშირად არის მომენტი, როცა იუმორი მხსნელადაც კი გვევლინება. გთხოვთ, გაიხსენოთ შემთხვევა, როცა ,,იუმორმა გადაგარჩინათ''?

- იუმორი ის მძლავრი იარაღია, რომლითაც შეგიძლია, ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი, ყველაფერი ღიმილით დაასრულო, მტრის ნაცვლად მეგობარი შეიძინო, სათქმელიც ტკბილად თქვა და ნაწყენიც არავინ დაგრჩეს. მსგავსი ისტორიები იმდენი ყოფილა, ჩემს ცხოვრებაში, რომ გამიჭირდება გახსენება.

თინათინ ფუტკარაძე

ცარიელი მუზეუმი და პანდემია

მუზეუმი სულიერების ტაძარი და ისტორიის აკვანია, სადაც თავი მოუყრია წარსულ ცხოვრებას. სხვა რა შეიძლება უწოდო ადგილს, სადაც ერთდროულად ეცნობი ისტორიებს ადამიანების ცხოვრების შესახებ, მათ ზნე-ჩვეულებებს, ყოფა-ცხოვრებას, რელიგიას. ალბათ გავა დრო და დღევანდელი დაცარიელებული მუზეუმის ისტორიის შესახებაც მოუყვებიან თაობებს. უამრავ სასწაულზე მეტყველი ექსპონატები სიჩუმით მოცული დარბაზების მომსწრე გახდნენ. წელიწადის არცერთ დროს არ ახსოვს, ას წელს გადაცილებულ სულიერების ტაძარს, რომ ასე მკაცრად დაეკეტოთ კარები და არ გაეგონოს ადამიანების ხმა. რაზე უნდა მეტყველებდეს სიჩუმე, რომელმაც ასე დაისადგურა მუზეუმის მთელ სივრცეში, თუ არა იმ სევდაზე, რამაც თავი მიტოვებულად აგრძნობინა და ჩააფიქრა ადამიანებზე. მიგვატოვეს, დაივიწყეს ისტორია, რომელსაც ასე ერთგულად და საუკუნეებით უფრთხილდებოდნენ. გადის დღეები, კვირეები და უკვე თვეზე მეტია ფეხი არავის შემოუდგამს. არცერთი ბავშვის ხმა არ გაისმის იქ, სადაც განუწყვეტლივ ჟრიამული იყო. უქმე დღეებს ელიან მუზეუმის დარბაზები და ფიქრობენ, რომ დასვენების დღეს აუცილებლად შემოაღებენ გაუჩინარებული ადამიანები მუზეუმის კარებს. აბა სხვა რაზე უნდა იფიქრონ სიჩუმეში. სად წავიდნენ ადამიანები და სად წაიღეს გაცოცხლებული ისტორიები?! რატომ გააქრეს სინათლის შუქი, რატომ შეწყვიტეს ამბების მოყოლა, რომლითაც თავს აწონებდნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მოსულ ადამიანებს?

ალბათ, არაფერია იმაზე საშინელი სანახავი, როგორიც ცარიელი მუზეუმებია. თუმცა, ამაზე ბევრად მეტი ტკივილიანი ისტორიის მომსწრე ყოფილა ქართველი ხალხი, ჩვენი ერი. მალე ესეც ჩვენი ისტორიის ნაწილი გახდება, წარსულად იქცევა. გავა დრო და თავად მუზეუმის დარბაზები მოუყვებიან მომავალ თაობებს მათი დაცარიელების მიზეზზე. იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მათი ყველა კარის ჩაკეტვა, ადამიანების გაუჩინარება, ისევ მათ გადასარჩენად! მუზეუმების მეშვეობით თაობები გაიგებენ ვინ იყო ის უჩინარი და უხილავი მტერი, რომელმაც დედამიწაზე უიარაღო ომი გამოაცხადა და წააგო. ეს იქნება ისტორიები დაცარიელ ქალაქებზე, სკოლებზე, საბავშვო ბაღებზე. მუზეუმები აუცილებლად ისაუბრებენ ამ ომში ადამიანების გამარჯვებაზე!

... და ირგვლივ ყველაფერი ისევ განათდება. მუზეუმების ექსპონატების ოჯახს ამ ისტორიის ამსახველი ნივთები შეემატება და მათი ხილვისას თაობები გაიგებენ კაცობრიობის უჩინარი მტრის დამარცხებაზე და იმ ადამიანებზე ვინც ეს შეძლო.

მარიამ ცინცაძე

სახლი, როგორც ახალი ექსპოზიციის ინსპირაციის წყარო

(ინტერვიუ საბრძოლო იარაღების კოლექციონერთან)

გიორგი მარგოშვილი - ადამიანი, რომელიც ბათუმის ერთ-ერთ უძველეს უბანში ცხოვრობს, ძველ ისტორიას გვინახავს და თვალნათლივ გადმოგვცემს, რა ყოფაში ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, რისი გადატანა უწევდათ, რომ ჩვენამდე ამ ყველაფერს მოეღწია და გვქონოდა ის, რასაც დღეს ჩვენ ისტორიას ვეძახით. ძველ საბრძოლო იარაღებს და ნივთებს, რომელიც დღემდეა თავმოყრილი ბ-ნი გიორგის კოლექციაში, გადავყავართ იმ ეპოქაში სადაც მათ ადამიანები იყენებდნენ, უმეტეს შემთხვევაში თავის დასაცავად, ბრძოლებში, თუ, უბრალოდ, იმისთვის, რომ ესწავლებინათ თავიანთი შვილებისთვის იარაღის გამოყენება.

გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს ბატონ გიორგი მარგოშვილთან.

- **ბატონო გიორგი, რამდენი ხანია რაც ეს იარაღები გაქვთ და თუ შეგიძლიათ გვითხრათ რამდენი წლისაა ისინი?**
- უძველესია. ყველაზე ძველი იქნება, დაახლოებით, 1850-1860-იანი წლების. რომელსაც მოკლე ტარი აქვს, ყველა არის XX საუკუნის; გრძელტარიანები - XIX საუკუნის 50-იანი წლების.
- **ეს ყველა „ჩვენებური“ იარაღია, ბატონო გიორგი?**
- კი, ყველა ჩვენია, კავკასიური იარაღია ყველა. ზოგი სამხრეთ კავკასიის, ზოგი ჩრდილოეთ კავკასიის. არცერთი არ არის საპარადო, თავის მოსაწონი; რადგან ძველია, ესე იგი საბრძოლოა.
- **არის თუ არა რესტავრირებული?**
- რა თქმა უნდა, რესტავრაცია ყველაფერ ძველს სჭირდება, ჩვენამდე რომ მოაღწიოს. ვერკვევი ამ საქმეში და მე თავად ვუკეთებ რესტავრაციას.

ბ-ნი გიორგის კოლექციაში არის, ასევე, უძველესი ფილთა თოფები და კაფსულიანი დამბაჩა. საინტერესო აღმოჩნდა იარაღის ჩასადები ძველი საბრძოლო სარტყელიც.



გაფართოებული სახელოვნებო სივრცე: პოპ-არტი

ხელოვანთა თაობა, რომელიც შემოქმედებით ასპარეზზე 1950-იან წლებში გამოვიდა, სულ უფრო აქტიურად მიმართავდა რეალურ ცხოვრებას. პოპ არტისტებმა გამოიკვლიეს რეკლამის ზემოქმედების ძალა, ყურადღება მიაპყრეს ვიზუალურ კულტურაში მომხდარ ცვლილებებს და ახლებურად დაგვანახეს ჩვენს გარშემო არსებული ყოფითი სამყარო. მასმედიის მზარდი ჩართულობის ამ გარდამტეხ ხანაში ინდივიდუალური და მასობრივი იდენტობა მეტწილად პიროვნების სოციალური სტატუსით, მისი ქონებრივი მდგომარეობით განისაზღვრებოდა; იზომებოდა იმით, თუ როგორ გამოიყურებოდა ადამიანი, რა ემოსა, ან რას მოიხმარდა. სახლები, ავტომობილები, საგანგებოდ წარმოჩენილი ნივთები - ყველაფერი ასახავდა ცხოვრებას ისე, როგორც ეს ტელევიზიით, ფილმებში და ბეჭდურ რეკლამებში იყო მოწოდებული. პოპ არტისტები აკრიტიკებდნენ პოპულარული კულტურის მიერ მოგონილი, იდეალური სახლისა და იდეალური ადამიანის ზედაპირულ ხატს.

ამ დროისათვის ლონდონში ჩამოყალიბდა მხატვრების, არქიტექტორების, ფოტოგრაფებისა და მწერლების ინტერდისციპლინარული გაერთიანება „დამოუკიდებელი ჯგუფი“, რომლის მიზანი იყო ხელოვნების ადგილის განსაზღვრა სამომხმარებლო საზოგადოებაში. საამისოდ ისინი დისკუსიებს მართავდნენ, პერიოდულად აწყობდნენ გამოფენებს თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტში. დაჯგუფების ერთ-ერთი წამყვანი წევრი, მხატვარი **რიჩარდ ჰამილტონი** აცხადებდა, რომ თანამედროვე ვიზუალური მასობრივი კულტურა სწრაფად ანაცვლებდა ტრადიციულ ხელოვნებას, რომ მშვენიერების სტანდარტს ამკვიდრებდა ტელევიზია და რეკლამა, რომლებიც არ განეკუთვნებოდა მაღალი ხელოვნების კატეგორიას, რომ საზოგადოების კერპების ადგილი პოლიტიკოსებმა და კინოვარსკვლავებმა დაიკავეს. ამ დისჰარმონიული სურათის საჩვენებლად ჰამილტონი ქმნიდა პაროდიული ხასიათის კოლაჟებს, რომლებიც რეკლამებიდან აღებული ციტატებით იყო შთაგონებული. ასეთია 1956 წელს შესრულებული ნამუშევარი **„მაინც რა ხდის დღევანდელ ბინებს ასეთ განსხვავებულსა და მიმზიდველს?“**, რომელიც პოპ-არტის პირველ სრულყოფილ ნიმუშად მიიჩნევა. თავად კოლაჟი გვიჩვენებს საშინაო გარემოში გამოსახულ ორ ფიგურას, რომლებიც ადამ და ევად არიან სახელდებულნი. ბიბლიური წინაპრების მსგავსად, ეს ფიგურებიც თითქმის შიშვლები არიან, მაგრამ „ცდუნება“, რომელსაც ისინი მიეცნენ, უკვე სამომხმარებლო კულტურაშია საძიებელი. აქ ადამი კულტურისტია, ევა კი ტიპური ლამაზმანი. დაკარგული სამოთხის ბაღის ხელახლა შექმნის მცდელობაში, პირველმა წყვილმა საუკეთესო ნივთებით გაავსო სახლი - აქვთ ტელევიზორი, მაგნიტოფონი, მტვერსასრუტი, თანამედროვე ავეჯი. „მაღალი ხელოვნების“ ნიმუშთა ნაცვლად, კედელზე

სასიყვარულო რომანის სარეკლამო პლაკატია გაკრული. ადამს უზარმაზარი საწუწნი კანფეტი, ე.წ. tootsie pop უჭირავს ხელში, რაც საფუძვლად დაედო ამ მიმდინარეობის საერთო სახელწოდებას - POP ART.

ჰამილტონის ეს კოლაჟი ერთგვარი კომენტარია თანამედროვე ცხოვრების ვიზუალურ გადატვირთულობაზე და კულტურის უუნარობაზე, ერთმანეთისაგან განასხვავოს ტრივიალური და მნიშვნელოვანი, რეკლამირებული თუ რეალური სამყარო.



მაინც რა ხდის დღევანდელ ბინებს ასეთ განსხვავებულსა და მიმზიდველს?

Fashion

განსაცვიფრებელი ლონდონი



ქალი

სალომე გორგილაძე

თვითიზოლაცია და მხატვრობა

(ინტერვიუ მხატვარ ჯემალ გორგილაძესთან)

მხატვარი ჯემალ გორგილაძე დაიბადა 1959 წლის 8 მაისს, კუნძულ სახალინზე, სამხედრო მფრინავისა და პედაგოგის ოჯახში. ხატვა მისი მისწრაფება იყო ბავშვობიდან და მიუხედავად იმისა, რომ მის გატაცებას ოჯახისგან მხარდაჭერა არ ჰქონდა, მაინც ჩააბარა ქ. ბათუმის ნ. კანდელაკის სამხატვრო სასწავლებელში (1974-1978 წლები). 80-იანი წლებიდან მონაწილეობას ღებულობდა პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენებში, ადგილობრივ და საერთაშორისო პლენერებში. 2016 წელს, გადაეცა ჯილდო ,,თამარობა"-ზე წარმოდგენილ გამოფენაზე. 2012 წელს კონკურსის ,,მარბელა - ბათუმი არტ ფესტივალი" გამარჯვებული გახდა მისი ნახატი და გაიგზავნა ესპანეთში. 2010 წელს დაიკავა მეორე ადგილი კონკურსისთვის ,,ძველი და ახალი ბათუმი". არის იმპრესიონისტი მხატვარი, ბათუმის ყველა უბანი აქვს დახატული პლენერებზე სხვადასხვა დროს.

- თქვენ შესახებ გვიამბეთ. როდის დაიწყეთ ხატვა, რას ნიშნავთ თქვენთვის ხელოვნების ეს სფერო?

- რაც თავი მახსოვს ვხატავ, ეს არის ჩემი მთავარი საქმე, ის თვითგამოხატვის საშუალებაა ჩემთვის...

- სამხატვრო განათლება თუ გაქვთ?

- ბათუმის სამხატვრო სასწავლებელი მაქვს დამთავრებული.

- როგორია თვითიზოლაციაში მყოფი მხატვრის მუშაობის პროცესი?

- ჩვეულებრივი. ხატვისას, მხატვარი ტილოსთან ყოველთვის თვითიზოლაციაშია.

- გვიამბეთ თქვენი პირველი ნახატის შესახებ?

- პირველი - ალბათ ვერ გავიხსენებ, თუმცა, პირველი სერიოზული ნამუშევარი ფერწერაში იყო ნატურმორტი ვარდებით, რომელიც მეუღლეს ვაჩუქე და დღემდე ჩვენს პირად კოლექციაში ინახება.

- რა შეიძლება იყოს თქვენთვის ახალი ნახატის ინპირაციის წყარო?

- უამრავი რამ, სამყარო, ყოველდღიურობა... ამინდი, ქუჩა, პეიზაჟი, ცხოვრებისეული სიუჟეტი, განწყობა..

- რატომ აირჩიეთ პროფესია მხატვარი?

- მხატვრობა ის პროფესიაა, რომელიც თვითონ გირჩევს.

- რომელია თქვენი საყვარელი ნამუშევარი?

- ბევრია, გამოყოფა მიჭირს. ყველაზე საინტერესო ჩემთვის პლენერზე პეიზაჟების ხატვა და პორტრეტების კეთებაა.

- გვიამბეთ თქვენი პირველი პერსონალური გამოფენის შესახებ

- პირველი პერსონალური გამოფენა 1987 წელს მქონდა, მუსიკალურ სასწავლებელში, მაშინ სასწავლებლის დირექტორი იოსებ (სოსო) ბარდანაშვილი იყო. ბევრი საინტერესო დამთვალიერებელი მოვიდა. ამაღელვებელი იყო, იმდენად, რამდენადაც პირველი იყო, მაინტერესებდა ხალხის რეაქცია, ემოცია, შეხედულება. პერსონალური გამოფენა ჩემთვის ერთგვარი შეჯამებაა რაღაც ეტაპის.

- რომელი მხატვრის შემოქმედებამ მოახდინა ზეგავლენა თქვენს შემოქმედებაზე.

- სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მხატვრებმა და მიმართულებებმა. კლასიკოსებმა, იმპრესიონისტებმა, ქართულმა ფრესკებმა.

კარანტინის დროს შექმნილი ნამუშევრები

ზღვის პეიზაჟები

ნალია მაჭახლის ხეობიდან

ნანა ქორიძე

უძველესი ქართული სასმისი - კულა

(ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ერთი ექსპონატის შესახებ)

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის 1941 წლთ დათარიღებულ ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნში (№1) ვკითხულობთ: 1922 წელს მოქალაქეს, ვინმე ვ.ყიფიანს მუზეუმისათვის გადაუცია უძველესი სასმისი „კულა“,- ინიციალებით: „მთ“. „ლ“. “დ“. (იგულისხმება - მთავარ ლევან დადიანს **ნ.ქ.**). კულა დამზადებულია ნიგვზის ხისაგან, გაწყობილია ვერცხლის ჭედური ფირფიტებით, გაფორმებულია ათი ცალი ფერადი იასპის) ქვებით.

მუზეუმში დაცული ვერცხლით მოჭედილი კულა

როგორც ვიცით, ძველი საღვინე ჭურჭელი ჩვენს ქვეყანაში მრავალგვარი მასალისაგან მზადდებოდა: თიხისაგან, ხისაგან, ვერცხლისაგან, ბრინჯაოსაგან, სპილენძისაგან, მინისაგან და სხვა. მათ შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია კულას. იგი ძირითადად ხისაგან კეთდებოდა, რომლისთვისაც საუკეთესო მასალა იყო ძელქვის, ბზის, ურთხელის, კაკლის ხე. კულას აქვს მასიური ოვალური ტანი და გრძელი ყელი, ყელთან აქვს პატარა რქა, სმისას თითის გამოსადებად. კულის ყელის ხვრელი პირისაკენ თანდათან ვიწროვდება და სმის დროს რაკრაკა ხმას გამოსცემს, რაც მსმელს დიდ ემოციურ ტკბობას ანიჭებს, ხმიანი სასმისი ქართულ სუფრაზე სალაღობოდ იხმარებოდა. ზოგჯერ მოჭედილი იყო ვერცხლის ჭედური ფირფიტებით. აყიროს კულას კი გიშრით ამკობდნენ.

სასმისს სულხან-საბა ორბელიანი ძალიან მოკლედ ახასიათებს: „კულა ხის სასმისი, ხმიანი“.

ძველად კულა ფართოდ გავრცელებული სასმისი იყო. მის გათლას დიდი ოსტატობა და მოთმინება სჭირდებოდა. ხის შეუჭედავ კულებს ღარიბი ხალხი ხმარობდა, ხოლო პრივილეგიურ წოდებათა სუფრას ძვირფასი თვლებითა და ილეკროთი შემკობილი კულები ამშვენებდა.

დადიანის ასულ მარიამისათვის მზითვად გაუტანებიათ (VIII ს. დასაწყისი) „ერთი ოქროს კულა“. ვახუშტი ორბელიანის ქონების სიაში (1707 წ.) შეტანილია „კულა ერთი“, რომელსაც „პირი ოქროთი მოჭედილი აქვს“. ასევე, ვახუშტის ქონების სხვა ნუსხებში ორგზის იხსენიება „ოქროთი მოჭედილი კულა“.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის ფონდ-საცავში დაცულია ასევე ხის სადა კულებიც, რომლებიც ნათელს ფენს უძველესი ქართული სასმისების ისტორიას.

რუსუდან კობრავა

ჩვენი დროის ჟამთააღმწერელი

(ინტერვიუ საშა ლეკვეიშვილთან)

ქალბატონი საშა ლეკვეიშვილი თითქმის 50 წელია მუშაობს სხვა-დასხვა თანამდებობაზე ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. 17 წელი იმუშავა მუზეუმის ყოფილ დირექტორთან, ცნობილ მეცნიერთან და საზოგადო მოღვაწესთან ბატონ ხარიტონ ახვლედიანთან. იყო მეცნიერ-მუშაკი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებების გამგე. მუზეუმში მუშაობის პერიოდში გამოცემული აქვს 7 წიგნი. არის 60-მდე სტატიის ავტორი. 9 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა მუზეუმის მიერ მოწყობილ სამეცნიერო-კომპლექსურ ექსპედიციებს. ნაყოფიერი სამუზეუმო საქმიანობისათვის დაჯილდოებულია დიპლომებითა და სიგელებით. ამჟამად, ქალბატონი საშა აქტიურად აგრძელებს სამუზეუმო საქმიანობას.

- როგორ მოხვდით მუზეუმში და როგორი იყო თქვენი პირველი შეხვედრა ბატონ ხარიტონთან?

- სანამ პირადად გავიცნობდი ბატონ ხარიტონს, მის შესახებ ბევრი რამ მსმენოდა. ვიცოდი, რომ ცხოვრებამ უმძიმესი ტრაგიკული ბედი არგუნა - სამი შვილი დაეღუპა. მიუხედავად ამისა, მან შეძლო არა მარტო ცხოვრების გაგრძელება, არამედ დატოვა კვალი ნათელი. ვიცოდი, რომ იყო პრინციპული, მკაცრი, მომთხოვნი და, რაც მთავარია, ძალიან უყვარდა მუზეუმი.

მუზეუმში მივედი ყოველგვარი რეკომენდაციის გარეშე. გასაუბრების შემდეგ, ბატონმა ხარიტონმა ერთი თვე მომცა ექსპოზიციის შესასწავლად. შემდეგ ჩავაბარე „გამოცდა“ თანამშრომელთა თანდასწრებით. ასე გავხდი მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

1972 წელს მუზეუმში შეიქმნა სამეცნიერო-საგანმანათ-ლებლო განყოფილება და იქ დამნიშნეს გამგედ. 1982 წლიდან ისტორიის, ხოლო 2005 წლიდან ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ ვმუშაობდი 2015 წლამდე, აქედან დღემდე ვარ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

- **გვიამბეთ ბატონ ხარიტონის სამუზეუმო საქმიანობის შესახებ…**

- ბატონი ხარიტონი 1938 წელს დაინიშნა აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად. მაშინ მუზეუმი განთავსებული იყო ერთსართულიან შენობაში , სადაც იყო, აგრეთვე, დირექტორის კაბინეტი, ექსპოზიცია, ფონდი, თანამშრომელთა ოთახი და სხვ. ბატონმა ხარიტონმა თავიდანვე მიზნად დაისახა, რომ ეს პატარა მუზეუმი საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო მუზეუმად ექცია. მან დიდი ყურადღება მიაქცია შემგროვებლობით, საექსპოზიციო, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო მუშაობას.

ბატონი ხარიტონის ხელმძღვანელობით მუზეუმმა დაიწყო სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა, ლექცია-საუბრების ჩატარება მოსახლეობაში აქტუალურ თემებზე. მისი ინიციატივით გაკეთდა დასაკეცი, გადასატანი ფარები, რომლებზეც ასახული იყო ისტორიული მასალები საქართველოსა და ჩვენი კუთხის შესახებ, აჭარის შრომითი, მეცნიერული და კულტურული მიღწევები. მოსახლეობაში ასეთი ფარები და საუბრები დიდი პოპულარულობით სარგებლობდა. ფარები დღესაც დაცულია მუზეუმის ფონდებში.

ბატონი ხარიტონი იბრძოდა აჭარის კულტურული მემკიდრეობის ძეგლების დასაცავად, აწყობდა სპეციალურ ექსპედიციებს, იღებდა ფოტოებს, აკეთებდა ჩანახაზებსა და ჩანახატებს, იწერდა გადმოცემებს ძეგლების შესახებ და სხვ. მისი ინიციატივით შეგროვდა უნიკალური ნივთიერი ძეგლები, წერილობითი წყაროები, ფოტომასალები, ძველი პერიოდული პრესა, სამეცნიერო ლიტერატურა. უშუალოდ მისი დამსახურებაა, რომ მუზეუმს აქვს სამეცნიერო ბიბლიოთეკა 70 ათასამდე წიგნადი ფონდით.

ბატონი ხარიტონი მაღალ აკადემიურ დონეზე მოწყობილ მუზეუმს ,,ამქვეყნიურ სამოთხეს“ უწოდებდა. იგი წლების მანძილზე იბრძოდა მუზეუმის ექსპოზიციისა და ფონდსაცავის ფართის გაზრდისთვის. მის სახელს უკავშირდება მუზეუმზე მეორე სართულის დაშენება.

ხარიტონ ახვლედიანის ინიციატივით სამუზეუმო საქმიანობამ აჭარაში თანდათან მასობრივი ხასიათი მიიღო. იხსნებოდა სახალხო მუზეუმები და ფილიალები რაიონებში, სოფლებში და სხვ.

დაუღალავი შრომითა და მაღალ იდეურ დონეზე შესრულებული ექსპოზიციებით, ფონდების შევსებითა და განვითარებით, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სწორად და ნაყოფიერად წარმართვით აჭარის სახელმწიფო მუზეუმი დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ წამყვან მუზეუმად იქცა. მუზეუმს აჯილდოებდნენ დიპლომებით, სიგელებით და, არცთუ იშვიათად, ფულადი პრემიებით.

ბატონმა ხარიტონმა დასახულ მიზანს მიაღწია - აჭარის სახელმწიფო მუზეუმი ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესოდ საქართველოში. საკავშირო კულტურის სამინისტრომ,

განსაკუთრებული დამსახურებების გამო, ბატონი ხარიტონი სამუზეუმი სამეცნიერო საბჭოს გამგეობის წევრად აირჩია საქართველოდან. მისი ხელმძღვანელობით მუზეუმის შრომების 11 კრებული გამოიცა.

სამუზეუმო საქმიანობაში ბატონი ხარიტონის გვერდით იყვნენ მცოდნე, კვალიფიციური მუშაკები: ვ. კოხრეიძე, ლ. შარაძე, ე. ჩხაიძე, ე. მახარაძე, მ.ნადირაძე, ნ.ლორთქიფანიძე, ალ. დავითაძე და სხვ. ეს არის ძალიან მცირე, რისი თქმაც შემიძლია ბატონი ხარიტონის სამუზეუმო საქმიანობის შესახებ.

- ცნობილია, რომ ბატონი ხარიტონი სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა...

- რასაკვირველია, ბატონი ხარიტონი მიეკუთვნება იმ ქართველ ისტორიკოსებს, რომლებმაც დაუღალავი შემოქმედებითი კვლევა-ძიებით შეძლეს ახალ სიმაღლეზე აეყვანათ ეროვნული ისტორიოგრაფია. იგი ერთ-ერთი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც დაიწყო აჭარის წარსულის კვლევა-ძიება და მეცნიერული შესწავლა.



სამუზეუმო საქმიანობასთან ერთად ბატონი ხარიტონი ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ აკადემიკოსებს ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილს, პროფ. სარგის კაკაბაძეს და სხვ.

1944 წელს პროფ.სარგის კაკაბაძის რედაქტორობით გამოიცა მისი პირველი წიგნი ,,ნარკვევები აჭარის ისტორიიდან“. წიგნს ფართო გამოხმაურება ჰქონდა ქართულ საზოგადოებაში და დადებითად შეფასდა.

1946 წელს აკად. ნიკო ბერძენიშვილს რედაქტორობით გამოიცა მისი ნაშრომი ,,აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ხარიტონ ახვლედიანს გამოცემული აქვს 150-ზე მეტი მონოგრაფია და სტატია. მათგან უნდა გამოვყოთ ,,აჭარის ბიბლიოგრაფია“ (1951 წ.) და ,,სამხრეთ საქართველოს ბიბლიოგრაფია“ (1960 წ.).

ბატონ ხარიტონს ურთიერთობა ჰქონდა აკადემიკოსებთან: ნიკო ბერძენიშვილთან, გიორგი ახვლედიანთან, ილია ვეკუასთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, გიორგი ჩიტაიასთან, პოეტ გიორგი ლეონიძესა და სხვ. მათი წერილები და მილოცვების ბარათები დაცულია მუზეუმის ფონდში.

- დაფასდა თუ არა ბატონ ხარიტონის ღვაწლი მის სიცოცხლეში?

- ბატონი ხარიტონი სიცოცხლეშივე იყო დაფასებული. მინიჭებული ჰქონდა საქართველოსა და აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება, აჭარის მეცნიერებისა და აჭარის ხელოვნების დამსახურებული მუშაკის წოდებები. დაჯილდოებული იყო უამრავი სიგელით, დიპლომით, ორდენებითა და მედლებით.

1984 წელს ქართველმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა მისი დაბადების 80 წლის იუბილე. არ დამავიწყდება მისი საბოლოო სიტყვა, რომელიც ასე დაიწყო: ,,რა დრო გასულა, მე კი რამდენი რამ დამრჩა გასაკეთებელი...“

გასულ წელს მუზეუმმა და აჭარის საზოგადოებამ ბატონი ხარიტონის დაბადების 115 წლისთავი აღნიშნა.

თამამად შემიძლია ვთქვა, რაც გავაკეთე და რასაც ჯერჯერობით ვაკეთებ, ვთვლი, რომ ბატონი ხარიტონის დამსახურებაა. თუ შეიძლება ასე ითქვას, მან შექმნა სამუზეუმო საქმისა და მეცნიერული კვლევა-ძიების შემსწავლელი თავისებური სკოლა. ამ სკოლაში ისწავლიდი არა მარტო სამუზეუმო საქმეს, არამედ შენი ქვეყნის, კუთხის წარსულის პატივისცემასა და სიყვარულს.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ,,მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა“. მუზეუმი ხომ ჩვენი ქვეყნის, ხალხის ისტორიის საუფლოა. სწორედ ასეთი საუფლოს სათავეებთან იდგა ბატონი ხარიტონ ახვლედიანი.

მუზეუმზე მზრუნველი „უჩინარი ხალხი“

ჩვენი რესპოდენტი ლელა ტრაპაიძეა, რომელიც ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დიდი ხანია მუშაობს. მისი მოვალეობა მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზის ზედამხედველობაა.

- რამდენი წელია მუშაობთ მუზეუმში და რას ნიშნავს იყო ზედამხედველი?

- მგონი უკვე დამავიწყდა როდის მოვედი ამ სამყაროში. დაახლოებით 20 წელია ვმუშაობ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. ვფიქრობ, რომ ერთი დღეც არ მიცხოვრია მუზეუმში გარეშე. მუზეუმი იმდენად ორგანული და მშობლიური გარემოა ჩემთვის, წლები ძალიან მალე გავიდა. ასე მგონია გუშინ შემოვდგი ფეხი ამ საოცარ, იდუმალ, წარსულზე მეტყველ გარემოში. ეს წლები ერთი დიდი ტკბილი მოგონებებია, აქ ყველა და ყველაფერი დიდ ოჯახად მექცა. ჩემი ოჯახის შექმნაც, მუზეუმს უკავშირდება. ირგვლივ ყველაფერი ჩემს განცდებთან არის დაკავშირებული, მუზეუმის წარმატებაც და წარუმატებლობაც პიროვნულ სიხარულად და ტკივილად მაქვს გადაქცეული.

- უფრო ვრცლად რომ აგვიხსნათ, რას ნიშნავს ზედამხედველი?

- მუზეუმის ზედამხედველი არის საგამოფენო დარბაზებში, ექსპონატებზე პასუხისმგებელი პირი. ის უვლის და ზრუნავს ნივთებზე, რომელსაც ვიზიტორი ათვალიერებს. ზედამხედველი, ძირითადად, დარბაზის უჩინარი თანამშრომელია. ის ხელს არ უშლის ვიზიტორს თავისუფლად გადაადგილებაში, თუმცა, ამავდროულად, თვალყურს ადევნებს ყველაფერს. ზედამხედველს უნდა ესმოდეს ის პასუხისმგებლობა, რასაც ქვეყნის ქონების დაცვა, მოვლა და გაფრთხილება ჰქვია.

- არსებობს მნიშვნელოვანი ექსპონატი, რომელსაც უფრო მეტად იცავთ?

- გამიჭირდებოდა ამის თქმა, რადგან ჩემთვის ყველა ნივთი ერთნაირად საპასუხისმგებლოა. თუმცა, არსებობს ნივთი, რომელიც მეტად მიყვარს.

- რომელია ის ნივთი, რომელიც უფრო მეტად გიყვართ?

- არ გეტყვით, სხვა ნივთებს ეწყინებათ.

- მუზეუმში განვლილი წლებიდან რომელ პერიოდს გამოყოფთ?

- ალბათ, გასული საუკუნის 90-იანებს, როცა დარბაზში იყო სიცივე და არ გვქონდა შუქი. ამ პერიოდში მუზეუმი, სამწუხაროდ, არ იყო მიმზიდველი, აქ მუშაობა არ იყო ფინანსურად მომგებიანი. მიხარია, რომ ეს უკვე წარსულია

- რას დაამატებდით?

- ძალიან ძნელია გამოხატო სიტყვები, რასაც გრძნობ საყვარელი სამსახურის მიმართ. ფაქტია, რომ არ გიყვარდეს შენი საქმე, ვერ იმუშავებ აქ ორი ათეული წელი.

მაია გათენაძე

მუზეუმის ექსპონატი

საუკუნეზე დიდი ხნის წინ, 1833 წელს, ინგლისელმა ვაჭარმა მარკუს სამუელმა გადაწყვიტა ლონდონში მდებარე საკუთარი მაღაზიის გაფართოება. ამ მიზნით, აქამდე ანტიკვარიატით მოვაჭრე სამუელმა, საკუთარ მაღაზიაში აღმოსავლური ნიჟარების (ბრიტანულად - shell) გაყიდვა დაიწყო. მას ჩაფიქრებული ჰქონდა საკუთარი შემოსავლები გაეზარდა იმდროინდელი ტენდენციის ხარჯზე, რაც ინტერიერში ნიჟარების ფართო გამოყენებას გულისხმობდა. მისმა ინტუიციამ გაამართლა - ცოტა ხანში მოთხოვნამ ნიჟარებზე ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ სამუელმა მათი შორეული აღმოსავლეთიდან იმპორტი დაიწყო, რითაც საფუძველი ჩაუყარა საქონლის იმპორტ-ექსპორტის საკუთარ ბიზნესს.

1886 წელს შიგაწვის ძრავის გამოგონებასთან ერთად, იზრდებოდა მოთხოვნა ბენზინზე. ამ დროისათვის სამუელის ბიზნესი მის შვილებს მარკუსსა და სემს გადაეცათ. ძმები ბრინჯის, აბრეშუმისა და ფაიფურის იმპორტით იყვნენ დაკავებულები. სწორედ ამ პერიოდში, იაპონიაში ყოფნის დროს, მარკუსი ბაქოდან ნავთობის იმპორტით დაინტერესდა. ძმებმა ერთად გადაჭრეს იმ დროს არსებული ტრანსპორტირების უდიდესი პრობლემა და გამოიგონეს ნავთობის მოცულობითი გადაზიდვის ტექნიკა. 1892 წლის 22 ივლისს მარკუს სამუელის მიერ დაპროექტებული ნავთობის ტანკერი "მიურექსი" გამოვიდა ინგლისური პორტიდან ბათუმისკენ. ბათუმის ნავთობტერმინალზე ტანკერში ჩატვირთეს "ძმებ ნობელებთა ამხანაგობის" მიერ წარმოებული ნავთი.

შელის ნავთობის ჭურჭელი

ტანკერში ნავთობის ჩატვირთვა ხდებობა 16 ლიტრი ტევადობის თუნუქის ბიდონებით. 1982 წლის 22 აგვისტოს "მიურექსმა" გაიარა სუეცის არხი და გაემართა სინგაპურში კომპანია "შელი"-ს საწყობებზე დასაცლელად. 1903 წელს, კომპანიამ ლოგოდ კარგად ცნობილი ნიჟარა აირჩია. სწორედ ასეთ ემბლემიანი ნავთობის ჭურჭელი წარმოადგენს ნობელების მუზეუმის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ექსპონატს.

თამილა ლომთათიძე

მეცნიერი პანდემიის პირობებში

(ინტერვიუ ამირან კახიძესთან)

სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორის მრჩეველი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, ბატონი ამირან კახიძე ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, დაკისრებული მოვალეობებისადმი ერთგულებით, უშრეტი ენერგიით. ყოველდღიური თავდაუზოგავი შრომა, ახლის ძიება და საინტერესო მიგნებები მისი ცხოვრების წესია, რომელიც პანდემიის პირობებშიც არ შეცვლილა. გთავაზობთ ინტერვიუს გამოჩენილ მეცნიერთან.

- რამდენი ხანია უკვე რაც სამეცნიერო საქმიანობას ეწევით? ვინ ითამაშა თქვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ამ საქმიანობის არჩევისას? ვის უმადლით ამ გზაზე დაყენებას?

- 60 წელია ჩემ საყვარელ საქმეს ვაკეთებ. ამ გზაზე ჩემმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ დამაყენა. ჩემს პირველ წარმატებებსაც მას ვუმადლი.

- ხანგრძლივი სამეცნიერო საქმიანობის მანძილზე, ალბათ, უამრავ ადამიანთან გქონიათ შეხება, მეცნიერთან თუ სხვა სფეროს წარმომადგენლებთან. ვინ დატოვა ყველაზე დიდი კვალი თქვენ ცხოვრებაში?

- ისევ და ისევ ანდრია აფაქიძემ, აგრეთვე, აკადემიკოსმა ოთარ ლორთქიფანიძემ და პროფესორმა გურამ გრიგოლიამ.

- თქვენი პირველი სამეცნიერო ნაშრომი თუ გახსოვთ და რა საკითხს ეძღვნებოდა?

- პირველი სამეცნიერო ნაშრომი გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვაქვეყნე. იგი ეძღვნებოდა ბრწყინვალე ძეგლის - ფიჭვნარის ნაქალაქარისა და სამაროვნების ტერიტორიაზე ჩემ მიერ საწყისი ეტაპისათვის განხორციელებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს.

- თქვენი ყველაზე საყვარელი არქეოლოგიური ძეგლი რომელია? ბოლო დროის აღმოჩენებში რას ანიჭებთ განსაკუთრებულ და უპირველეს მნიშვნელობას?

- რა თქმა უნდა, ფიჭვნარი. ეს აღმოსავლეთ შვიზღვისპირეთის ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია. აქ წლების მანძილზე განხორციელებულმა საველე კვლევა-ძიებითმა სამუშაოებმა მრავალი ახალი აღმოჩენით გაამდიდრა მუზეუმის საგანძური. ბოლოდროინდელი აღმოჩენებიდან, კი გამოვყოფდი ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიციების მიერ

(2014-2019 წლები) მსოფლიო არქეოლოგიურ მეცნიერებაში აღმოჩენილ მანამდე უცნობ სრულიად ახალ კულტურას, რომელიც უკავშირდება კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეტაპს, კერძოდ, მილიონობით წლების მომცველი ქვის ხანიდან ბრინჯაოს საუკუნეზე გარდამავალ ეპოქებს (ძვ.წ. V-II ათასწლეულები). თითქოსდა განგების ნებით ჩვენ გვერგო წილად გაგვეკეთებინა სწორი მეცნიერული ატრიბუცია ფართო არეალის მომცველი კულტურისათვის დამახასიათებელი ნოვაციებისათვის (ფლოტაცია, სპეციალურ ღუმელებში ფერადი ლითონების ლღობა-დნობის პროცესების დაჩქარების მიზნით დაფცქვნა-დაქუცმაცება და ჰიდროგრაფიულ ქსელში ძვირფასი ლითონების მოპოვება).

- პანდემიამ გამოწვევის წინაშე დააყენა მთელი საზოგადოება და, ბუნებრივია, მეცნიერებიც. თუმცა, ალბათ, ყველაზე ნაკლებად მეცნიერის ცხოვრების წესი შეიცვალა, რადგან ჩაკეტილ სივრცეში მუშაობა არაა უცხო ხილი მეცნიერისათვის. მათ პანდემიის პირობებშიც შეუძლიათ თავიანთი საქმიანობის გაგრძელება. თქვენს შემთხვევაში რა ხდება? რა სახით განაგრძობთ საქმიანობას პანდემიის პირობებში? თქვენი მოღვაწეობა ისევ ისე სისხლსავსე და საინტერესოა? რა ფორმით და რა საკითხებზე მუშაობთ ამჟამად?

- ძალიან დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ჩვენი სახელმწიფოს მესვეურების, სამედიცინო ფრონტის მაღალკვალიფიციური ბრწყინვალე წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც მალე დამამშვიდეს, ჩამინერგეს მომავლის რწმენა. შესაბამისად, მეც გავაგრძელე ტრადიციული სამეცნიერო საქმიანობა. დრო ადრეც არასდროს მყოფნიდა. ახლა უფრო კომფორტულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. თითქმის საბოლოო სახე მივეცი ახლადაღმოჩენილი კულტურისადმი მოძღვნილ ვრცელ მონოგრაფიას, რომელშიც შევიდა არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლები. ასევე ითქმის სამხრეთ პონტოსპირეთის (თურქეთის რესპუბლიკა) უახლესი მონაპოვრების მიმართ. ნუ გაგიკვირდება, ჩემი ძვირფასო მკითხველო, თუ ვიტყვი, რომ არც მეტი, არც ნაკლები - კვლევის საზღვრები ინდოეთამდე გავრცელდა. გვაქვს საინტერესო ახალი ინფორმაციები. პარალელურად გაგრძელდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მუზეუმის თანამშრომლებთან (მერაბ ხალვაში, მალხაზ ნაგერვაძე) თანაავტორობით ორ სტატიაზეც. სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია წინასწარვე განვაცხადო, რომ კიდევ უფრო რელიეფურად გამოჩნდება ჩვენ გენიოს წინაპართა წვლილი საკაცობრიო ცივილიზაციის შექმნაში.

- რა გამოცდილება შეგძინათ პანდემიის პირობებში სამეცნიერო საქმიანობამ? ბუნებრივია, პანდემიის შემდეგ ასე ვერ გაგრძელდება, რაღაც ახალი ფორმები უნდა ვიპოვოთ, ინოვაციების დანერგვაა საჭირო. თქვენი აზრით, მუშაობის რა ახალი ფორმები შეიძლება გამოიყენოს მეცნიერმა თვითიზოლაციის პირობებში?

- დიდი ხანია ვმონაწილეობ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული ჟურნალის „ონლაინ არქეოლოგიის“ მომზადებაში. გამოვაქვეყნე არაერთი ნაშრომი, მოგონება და ა.შ. სასურველია მსგავსი პრაქტიკა დაინერგოს ჩვენი მუზეუმების სივრცეშიც. ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი მხარის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციას, ბუნებრივია, ჩემს კომპეტენციას სცილდება, მაგრამ წინა წლების ტურისტულმა ბუმმა დღის წესრიგში დააყენა ექსკურსიამძღოლთა გადამზადების საკითხი. ვიტყვი, რომ ამ სფეროში, ზოგჯერ, ანეკდოტურ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

- რა როლს ასრულებდა და ასრულებს ოჯახი თქვენს სამეცნიერო საქმიანობაში, როგორ შეიცვალა ოჯახის მხარდაჭერა პანდემიის პირობებში?

- ასპირანტურის წლებმა, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვამ, არქეოლოგიისათვის აუცილებელმა ხანგრძლივმა, ზოგჯერ მრავალთვიანმა ექპედიციებმა, მივლინებებმა, სიმპოზიუმებმა, კამერალურმა სამუშაოებმა ოჯახისათვის გამიზნული დროის დიდი ნაწილი შთანთქა. მაგრამ ყოველივე ამას პრობლემა არ შეუქმნია. ოჯახის წევრები ცხოვრების ყველა ეტაპზე გვერდში მედგნენ და იზიარებდნენ მეცნიერის ცხოვრების ყველა სირთულეს. ახლაც, პანდემიის დროსაც, ოჯახის ყველა წევრის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში გახლავართ.

- ონლაინ სამეცნიერო მუშაობას, უარყოფით ფაქტორებთან ერთად, შესაძლებლობების ფართო სპექტრიც ახლავს, განსაკუთრებით ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით, რაც ყველაზე მეტად პანდემიის პირობებში გამოვლინდა. თავად თქვენს მუშაობაში რა როლი უკავია მუშაობის ონლაინ მეთოდებს? რამდენად იყენებთ? რამდენად გიადვილებთ კონტაქტებს? რა შესაძლებლობებს ხედავთ მეცნიერებისათვის ამ მიმართულებით მომავალში?

- ზემოთ ნაწილობრივ ითქვა. ბევრ პრობლემას მყისიერად გიხსნის. მეცნიერებაში ინფორმაციების გაცვლა ბევრი სიკეთის მომტანი იქნება. ამ მიმართებით ზოგიერთი მოსაზრება გაგვაჩნია. მათზე საგანგებო მსჯელობაა საჭირო. წარმოდგენილ ფორმატში ვერ ჩაეტევა.

- შესაძლოა, პანდემია მეცნიერული მუშაობის თვალსაზრისით ნაკლებად ქმნის პრობლემებს, მაგრამ ალბათ არა თქვენი პროფესიის მეცნიერისათვის, რადგან თქვენ, არქეოლოგები, თეორიულთან ერთად დიდ ადგილს საველე სამუშაოებს უთმობთ და, პრაქტიკულად, წლის ყველაზე დიდ დროს ველზე, ექსპედიციებში ატარებთ. ამ მხრივ რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა საველე სამუშაოები, წელს თუ გეგმავთ და რა ფორმით?

- დიახ, „ველური“ გახლავართ. ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი ჩემს კოლეგებთან ერთად ველზე მაქვს გატარებული. მძიმე შრომას თან ახლავს მეტად სასიამოვნო მოგონებები. ჩვენი ექსპედიციები საერთაშორისო სკოლად იქცა. საკმარისია დავასახელოთ საქართველო-დიდი ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც 13 წელი (1998-2010 წლები) უწყვეტად გრძელდებოდა. მასში მონაწილეობდნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლის მუზეუმის ბერძნულ-რომაულ სიძველეთა დეპარტამენტის, სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტ-მაგისტრანტები და არქეოლოგები. არაერთი ბრწყინვალე აღმოჩენით გამდიდრდა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიციები თუ ფონდები. არაერთგზის ვისარგებლეთ ოქსფორდ-ლონდონ-კემბრიჯის მივლინებებით. გამდიდრდა სპეციალური ლიტერატურის წიგნადი ფონდი. ყოველივე ამას მესვეურობდა ბატონი მაიკლ ვიკერსი. არც ჩვენ დავრჩენილვართ ვალში. ექსპედიციის წლებში დავაქორწინეთ არაჩვეულებრივ კოლხ ასულზე.

წელსაც დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა სახის სადაზვერვო და საექსპედიციო სამუშაოები. მათ შორის განსაკუთრებით საშურია 2-3 თანამშრომლის მივლინება ინდოეთში ახლადაღმოჩენილ კულტურასთან დაკავშირებული ინფორმაციების შემოწმების მიზნით. არანაკლებ საინტერესო ჩანს ამ მიზნით სამეგრელოსა და თეთრი წყაროდან მომდინარე ცნობების დაზუსტება. ექსპედიციები დაგეგმილია, ტრადიციულად, ფიჭვნარის ნაქალაქარსა და სამაროვნებზე, მაჭახლის ხეობაში და აჭარის მთიანეთში. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის განხორციელება შესაძლებელი იქნება პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ სიძნელეთა დაძლევის შემდეგ. თუ არადა, გადავერთვებით მთლიანად შიდა სამუზეუმო საქმიანობაზე. გასაკეთებელი ბევრია.

- თქვენ წლების მანძილზე სათავეში ედექით ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს. ფაქტიურად, თვითონ შექმენით ეს მუზეუმი. კარგად იცნობთ მისი საქმიანობის ყველა მიმართულებას... როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევების და სირთულეების წინაშე დააყენა სამუზეუმო სისტემა პანდემიამ, როგორ შეცვალა მუშაობის ფორმები და ხომ არაა საჭირო ვიფიქროთ მუზეუმის მუშაობაში უფრო მეტად ციფრული ტექნოლოგიების დანერგვაზე, დისტანციური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმების შემუშავებაზე? ზოგადად, რა უნდა გააკეთონ მუზეუმებმა მომხმარებელთა საჭიროებებზე ფოკუსირებული მომსახურების დისტანციური მიწოდების სერვისების დასანერგავად პანდემიის პირობებში და შემდგომ პანდემიით გამოწვეული კრიზისის ეფექტურად გასამკლავებლად?

- ფიჭვნარისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის გარეშე ჩემი ამქვეყნიური ცხოვრების არსი ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. ჯერ კიდევ კუპონების ეპოქაში ჩემთან ერთად თავდადებული შრომა გასწიეს მუზეუმის თანამშრომლებმა ამ შესანიშნავი დაწესებულების,

ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო ფენომენის, ჩვენი ლამაზი ქალაქის არაერთი სავიზიტო ბარათის შექმნაში. საპატიო მოვალეობად მიგვაჩნია მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ქალბატონ მაია ხაჯიშვილის მიმართ, რომლის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ახლადგახსნილი მუზეუმის ყველა საკანონმდებლო დოკუმენტაცია. კიდევ უფრო მრავალმხრივ მზრუნველობას არც დღეს ვართ მოკლებული.

წინ კიდევ ბევრი პერსპექტივაა. ესტაფეტა გადაეცა ახალგაზრდობას. ტურიზმის ბუმის ხანაში კვალავაც უმთავრეს ამოცანად რჩება მუზეუმის გამდიდრება უახლესი აღმოჩენებით, სიახლეთა დანერგვა ჩვენი ქვეყნის მდიდარი ისტორიული წარსულისა და თვითმყოფადი კულტურის მაღალ დონეზე ჩვენების მიზნით.

ზაალ შენგელია

ძველი ბათუმის ფოტოები მუზეუმის არქივიდან

ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმს აქვს მდიდარი ფოტოარქივი, სადაც არაერთი საინტერესო ფოტოა დაცული. ამჯერად, წარმოგიდგენთ რამდენიმე ფოტოს, რომელიც ასახავს XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის ისტორიას.

ზღვის პირა ქუჩა

ნურის ტბა

საკრებულო

პირველი სკოლა

პორტი

საზღვაო ნავსადგური (მარცხნივ)

ხედი აზიზიეს მოედნიდან

სასტუმრო ფრანცია



რკინიგზის სადგურის ტერიტორია

თბილისის ქუჩა

როტშილდის სახლის მშენებლობა

შმიტის ქუჩა